გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 906

უშიშროების საბჭო,
კვლავ ადასტურებს რა თავის 1993 წლის 9 ივლისის 849, 1993 წლის 6 აგვისტოს 854, 1993 წლის 24 აგვისტოს 858, 1993 წლის 19 ოქტომბრის 876, 1993 წლის 4 ნოემბრის 881, 1993 წლის 22 დეკემბრის 892 და 1994 წლის 31 იანვრის 896 და 1994 წლის 4 მარტის 901 რეზოლუციებს, განიხილა რა გენერალური მდივნის 1994 წლის 3 მარტისა (S/1994/253) და 1994 წლის 18 მარტის (S/1994/312) მოხსენებები აფხაზეთში, საქართველოს რესპუბლიკა, მდგომარეობის შესახებ, გამოხატავს რა სინანულს იმასთან დაკავშირებით, რომ ჯერ არ არის მიღწეული არავითარი შეთანხმება პოლიტიკური მოწესრიგების და ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა დაბრუნების შესახებ ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის გამართულ მოლაპარაკებებზე,

მიესალმება რა საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის 1994 წლის 24 მარტის წერილს (S/1994/343), რომელშიც გამოთქმულია საქართველოს მთავრობის მზადყოფნა გააგრძელოს მოლაპარაკებანი ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგებისათვის,
კვლავ აღნიშნავს სერიოზულ მდგომარეობას საქართველოს რესპუბლიკაში, რაც შეიქმნა აფხაზეთიდან, საქართველოს რესპუბლიკა, გადაადგილებული მრავალეროვანი მოსახლეობის არსებობით, გამოხატავს სინანულს, კერძოდ, იმ ძალადობასთან დაკავშირებით, რომელსაც ადგილი ჰქონდა თებერვლის დასაწყისში,

1. ცნობად იღებს გენერალური მდივნის 1994 წლის 3 და 18 მარტის მოხსენებებს (S/1994/253 და S/1994/312).

2. კვლავ მოუწოდებს ყველას, ვისაც ეს ეხება, პატივი სცეს საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას.

3. ხაზს უსვამს ყველა ლტოლვილისა და ადგილნაცვალი პირის უფლებას უსაფრთხოების პირობებში დაუბრუნდნენ თავიანთ სახლებს აფხაზეთის, საქართველოს რესპუბლიკა, მთელ ტერიტორიაზე, და დაჟინებით მოუწოდებს მხარეებს სასწრაფოდ მიაღწიონ შეთანხმებას ამ უფლების ეფექტიანი განხორციელების ხელშეწყობის მიზნით.

4. ასევე დაჟინებით მოუწოდებს მხარეებს, რაც შეიძლება სწრაფად განაახლონ მოლაპარაკებები და მიაღწიონ არსებით პროგრესს პოლიტიკური მოწესრიგების გზაზე, აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის საკითხის ჩათვლით, ამასთან, სრულად უნდა სცენ პატივი საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას მის წინა რეზოლუციებში გადმოცემული პრინციპების საფუძველზე, იმის გათვალისწინებით, რომ უშიშროების საბჭომ შეძლოს შესაფერისად განიხილოს

სამშვიდობო ძალების შესაძლო განლაგების საკითხი აფხაზეთში, საქართველოს რესპუბლიკა.

5. მოუწოდებს დონორ სახელმწიფოებს, დახმარება გაუწიონ საქართველოს რესპუბლიკას, რათა მან შეძლოს დაძლიოს კონფლიქტის შედეგები და შეიტანონ შენატანი გაეროს ჰუმანური მოწოდების პასუხად.

6. ადგენს, გაუგრძელოს მანდატი საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიას დამატებითი პერიოდით, რომელიც მთავრდება 1994 წლის 30 ივნისს.

7. დაჟინებით მოუწოდებს მხარეებს, მიიღონ ყველა აუცილებელი ზომა გაეროს მეთვალყურეთა პერსონალის უსაფრთხოების დაცვისა და საქართველოს მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილების უზრუნველსაყოფად.

8. სთხოვს გენერალურ მდივანს წარუდგინოს საბჭოს მოხსენება მოლაპარაკებებზე ნებისმიერი პროგრესის შესახებ, თუ ასეთი რამ იქნება მიღწეული, ნებისმიერ შემთხვევაში, არა უგვიანეს 1994 წლის 21 ივნისისა, და ადგილზე არსებული ვითარების შესახებ, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს გარემოებებს, რომლებიც შეიძლება საფუძვლად დაედოს სამშვიდობო ძალების განლაგებას და ასეთი ძალების შექმნის ფორმებს.

9. ადგენს აქტიურად გააგრძელოს მუშაობა ამ საკითხზე.

25 მარტი, 1994